საქართველოს მთავრობის

დადგენილება №482

2023 წლის 11 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/03/2021, 010240030.10.003.022663) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-6 მუხლის:

1. პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-7 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ^{1}“ – „ჟ^{3}“ ქვეპუნქტები:

„ჟ^{1}) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ზოგადი განათლების განვითარების სფეროში განსახორციელებელი საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

ჟ^{2}) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების საქმიანობის კოორდინაცია;

ჟ^{3}) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისგან – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისგან ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება/ დამუშავება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 18 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**